ო ქ მ ი N8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 9 სექტემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და გამარჯვება უსურვა ამ უსამართო ბრძოლაში.

*დღის წესრიგი:*

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო

მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

9. „სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

10. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით ) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

11. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

12. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

13. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, მ. ჩარტია, ფ. კუკავა)

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

## დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: დ. ჭოჭუა** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**ლ. ლიპარტია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტით, 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 38,5 ათასი ლარით „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან) და განისაზღვრა - 21339,7 ათასი ლარი. გადასახდელები გაიზარდა 278.5 ათასი ლარით და განისაზღვრა -24578,6 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: 7,0 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, კერძოდ: 7,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში დაშვების კონტროლის სისტემის (ბარიერები, ტურნიკები) მონტაჟის სამუშაოების ასიგნება, რომელიც მიიმართება: 4,0 ათასი ლარი - ,,ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,საკანცელარიო, საწერ–სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა“ ასიგნებაზე, 3,0 ათასი ლარი - ,,არაფინანსური აქტივები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ ასიგნებაზე (ერთი ცალი კომპიუტერის კომპლექტის და ერთი ცალი პორტაბელური კომპიუტერის (ლეპტოპი) შეძენის ასიგნება. ამასთან, 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 240,0 ათასი ლარი მიიმართება: 120,0 ათასი ლარი - ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების და 120,0 ათასი ლარი - შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების ასიგნებაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯავა, მ. ჩარტია, ფ. კუკავა, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N12 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე მოხელის დანიშვნის შემდეგ, უქმდება საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში არსებული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა., რაზედაც კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ფ. კუკავა, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

**(დადგენილება N13 ოქმს თან ერთვის)**

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვ

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ზ. ბუკია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს: გ. ქარდავა** - გამომსვლელი დაინტერესდა იზრდებოდა თუ არა მერიის სახელფასო ფონდი?

**ზ. ბუკია** - გამომსვლელმა განმარტა, რომ საერთო ჯამში, ახალი საშტატო ნუსხის ამოქმედების მომენტისთვის, მერიის საშტატო რიცხოვნობა იზრდებოდა 4 საშტატო ერთეულით, მაგრამ რეორგანიზაციის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებებით მერიის სახელფასო ფონდი არ იზრდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 საკითხებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ფუნქციებიდან საზედამხედველო ფუნქციების ამოღებისა და ზედამხედველობის კუთხით ცალკე სამსახურის შექმნის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 26 ივლისიდან დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი. რეორგანიზაციის ფარგლებში ცვლილებები შედის მერიის რვავე სამსახურის დებულებებში, მერიის საშტატო ნუსხასა და სამსახურების პროფესიულ საჯარო მოხელეთა ფუნქცია-მოვალეობებში. კერძოდ: საკრებულოს ნორმატიული აქტების პროექტები მოიცავს შემდეგ ცვლილებებს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი ცვლილების პროექტით იქმნება მერიის ახალი სტრუქტურული ერთეული - ზედამხედველობის სამსახური, ხოლო სახელწოდება ეცვლება მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურს, კერძოდ: შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური, ახალი რედაქციით ყალიბდება ამ სამსახურებისა და მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქციები. გარდა რეორგანიზაციის ფარგლებში მერიის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებებისა, დადგენილების პროექტით ცალკეული ცვლილებები შედის დებულების სხვადასხვა მუხლში, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და განვლილი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტით ფუნქციები ახლებურად ნაწილდება სამსახურის 2 განყოფილებას შორის და არსებული განყოფილებების ნაცვლად ყალიბდება 2 განყოფილება შემდეგი სახელწოდებით: ეკონომიკური განვითარების განყოფილება და მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტით, სამსახურის ფუნქციებიდან ამოღებულია საზედამხედველო ფუნქციები და უქმდება ზედამხედველობის განყოფილება. ასევე, ახლიდან ყალიბდება სამსახურში არსებული 2 განყოფილების ფუნქციები, მათ შორის: ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილებას ემატება ამჟამად ზედამხედველობის განყოფილებაში არსებული მშენებლობის ნებართვების რეგულირების ფუნქცია, ხოლო ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის განყოფილებას ემატება მერიაში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფის ფუნქციები, ამ ჯგუფის გაუქმების გამო.

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტით ახლიდან მტკიცდება შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის დებულება სამსახურის შეცვლილი სახელწოდებით და ყალიბდება შემდეგი რედაქციით: შიდა აუდიტისა და ინსპექტირების

სამსახური. რომელშიც ასევე დამატებით არის ასახული საქართველოს კანონმდებლობით და შიდა აუდიტისთვის დადგენილი სტანდარტებით განსაზღვრული ფუნქციები და ვალდებულებები.

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით განისაზღვრება მერიაში ახლად შესაქმნელი სამსახურის ფუნქციები, უფლებამოსილებები და ვალდებულებები.

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტით საშტატო ნუსხაში აისახება მერიის და მერიის სამსახურების დებულებებში განხორციელებული ცვლილებები ახალი სამსახურისა და სახელწოდება შეცვლილი სამსახურების და განყოფილებების სახით და ასევე, თითოეული სამსახურისთვის შესაბამისი რიცხოვნობით გაიწერება საშტატო ნუსხა, კერძოდ:

ა) ადმინისტრაციულ სამსახურში უქმდება 2021 წელს განხორციელებული რეორგანიზაციისა და კონკურსების საფუძველზე გამოთავისუფლებული 2 საშტატო ერთეული (საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობები);

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში, შესყიდვების განყოფილებაში არსებული სამუშაო პროცესის გათვალისწინებით მიმდინარე ეტაპისთვის დამატებით იქმნება 1 საშტატო ერთეული, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სახით;

გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში, შესყიდვების განყოფილებაში არსებული სამუშაო პროცესის გათვალისწინებით მიმდინარე ეტაპისთვის 1 საშტატო ერთეულით (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) მცირდება საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილება და აღნიშნული შტატის გადატანა ხორციელდება, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო ზედამხედველობისა და ბუღალტერიის განყოფილებაში;

დ) ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის საშტატო განწერაში ფიქსირდება სამსახურის განყოფილებების ახალი დასახელებები;

ე) ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურში უქმდება ზედამხედველობის განყოფილება და დარჩენილი 2 განყოფილების საშტატო რიცხოვნობა იზრდება 2 საშტატო ერთეულით.

ვ) შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საშტატო რიცხოვნობა იზრდება 1 საშტატო ერთეულით (მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი), სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში ბავშვის ფსიქოლოგის მუდმივი საჭიროების გამო, რის შემდგომაც ამავე ფუნქციის მქონე შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოზიცია გაუქმდება.

ზ) წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში, გაწვევის მიმართულებით არსებული დატვირთვისა და პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპისთვის დამატებით იქმნება 1 საშტატო ერთეული, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სახით;

თ) შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის საშტატო განწერაში ფიქსირდება სამსახურის ახალი დასახელება - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური;

ი) ზედამხედველობის სამსახური, მიმდინარე ეტაპისთვის ყალიბდება 5 საშტატო ერთეულით. საერთო ჯამში, ახალი საშტატო ნუსხის ამოქმედების მომენტისთვის, (2022 წლის 1 ოქტომბერი), მერიის საშტატო რიცხოვნობა იზრდება 4 საშტატო ერთეულით. რეორგანიზაციის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებებით მერიის სახელფასო ფონდის ზრდის საჭიროება არ დგება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N14 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ზ. ბუკია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ფ. კუკავა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ლ. ადანაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N15 ოქმს თან ერთვის)**

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ზ. ბუკია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N16 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N17 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ზ. ბუკია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0**
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N18 ოქმს თან ერთვის)**

8. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ზ. ბუკია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N19 ოქმს თან ერთვის)

9. „სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს ილია ქვარცხავას სახელობის N2 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე 2022 წლის 12 აგვისტოს საკრებულოს სხდომაზე მიღებულ იქნა განკარგულება „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე", რომელიც გადაეგზავნა სკოლის ადმინისტრაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად. სამინისტროდან სკოლის მიმართ გაიცა რეკომენდაცია, მოთხოვნის შემდეგი სახით ჩამოყალიბების თაობაზე სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის

მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭების შესახებ, რაზედაც სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან საკრებულოში წარმოდგენილ იქნა ახალი წინადადება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულების N19 ოქმს თან ერთვის)**

10. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ა. ვარდია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**ვ. ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ოხვამეკარში არსებული წყლის სისტემა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მხრიდან ჩაუტარდა რეაბილიტაცია და 2022 წლის 15 თებერვლიდან შესულია ექსპლოატაციაში. მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მაგისტრალის მოვლა-პატრონობის მიზნით, მისი თხოვების ფორმით, არსებობის ვადით, შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისთვის“ გადაცემა, რაზედაც მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

**(განკარგულების N20 ოქმს თან ერთვის)**

11. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ა. ვარდია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**ვ. ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მიმდინარე წელს განხორციელდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სკვერის რეაბილიტაცია. რის შედეგადაც მიღებულ იქნა 50 კვმ შერეული ფორმის მეორადი ბაზალტის ფილები, რაზედაც მერიის მხრიდან წარმოდგენილია აუდიტორული დასკვნა. დასკვნის საფუძველზე, მერიის მიერ მომზადდა წინადადება ზემო აღნიშნული ფილების აუქციონის წესით პრივატიზების თაობაზე, რადგან მათი განმარტებით ფილები თითქმის გამოუსადეგარია. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N21 ოქმს თან ერთვის)

12. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;<br>თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**ვ. ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება, ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლი, რეაბილიტირებულ იქნა ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ მიერ და კეთილმოწყობილ იქნა მიმდებარე ტერიტორია. მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ქონება (ს/კ 45.17.21.394) სარგებლობის უფლებით არსებობის ვადით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, გადაეცეს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ - საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრს“ რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N22 ოქმს თან ერთვის)

13. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: ა. ვარდია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის დადგენილია საწვავის ლიმიტი 200 ლიტრის ოდენობით, საკრებულოს თავმჯდომარის მოქმედი მოადგილისთვის განსაზღვრულია საწვავის ტიპი - დიზელი. საკრებულოს აგვისტოს სხდომაზე არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის კიდევ ერთი მოადგილე, რომლისთვისაც განისაზღვრება საწვავის ტიპი - ბენზინი. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ამასთან მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდანაც წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელზე თანდართულ განმარტებითში აღნიშნულია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესში, უქმდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფი. ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფუნქციები ნაწილდება ახალშესაქმნელ სტრუქტურულ ერთეულზე - მერიის ზედამხედველობის სამსახურზე და ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურზე. ახალი სამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფისთვის განსაზღვრული საწვავის ლიმიტი (100 ლიტრი) დაუწესდეს მერიის ზედამხედველობის სამსახურს. კომისიის მხრიდან მიზანშეწონილად ჩაითვალა ზემო აღნიშნული ცვლილების პროექტების გაერთიანება, გამომდინარე, იქედან, რომ

ცვლილებები ხორციელდება ერთ განკარგულებაში, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს: გ. ქარდავა** - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ის თავიდანვე წინააღმდეგი იყო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მე-3 მოადგილის არჩევის, რადგან მისი არჩევით იზრდებოდა ხარჯები და ამის გამო პროექტს მხარს არ დაუჭერდა.

**ლ. ქავთარაძე** - გამომსვლელმა განმარტა, რომ ბიუჯეტი არ იზრდებოდა, რადგან 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას გათვალისწინებული იყო საკრებლოს თავმჯდომარის სამი მოადგილის ხარჯები. ხოლო, რაც შეეხებოდა საკრებულოს თავმჯდომარის მე-3 მოადგილის არჩევას, ეს კანონით იყო გათვალისწინებული, მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩეული იყვნენ მოადგილეები და საჭიროებიდან გამომდინარე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოშიც იქნა არჩეული.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 23, წინააღმდეგი – 1** (გ. ქარდავა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია, მ. ხუხია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულების N23 ოქმს თან ერთვის)**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მედეა თათარიშვილი
9. ლევანი ლიპარტია
10. ნინო ზოკუჩავა
11. აკაკი მალანია
12. ბადრი რიჟამაძე
13. ჯანსული ჯიშკარიანი
14. ფელიქსი წურწუმია
15. მაკა ჩარტია
16. ლელა ადანაია
17. ფრიდონ შონია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. გიორგი გვასალია
22. ირაკლი ზაქარაია
23. ფრიდონი კუკავა
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. გურიელ ქარდავა
26. მოგელი ხუხია
27. დიტო ხასია